“დამტკიცებულია”

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის
დირექტორი / ქ. ედიბერიძე/

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის

2023-2030 სასწავლო წლების

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2023 წელი

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის

2023-2030 სასწავლო წლების

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2023-2030 წწ.

შესავალი

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის (შემდგომში - სკოლა) 2023-2030 წლების სტარტეგიული გეგმის მიზანია განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლებითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომავალი შვიდი წლის განმავლობაში.

განვითარების სტრატეგიული გეგმის საშუალებით სკოლა უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს სკოლის ხედვას, მისიას, ღირებულებებს, მიზნებს, მათი მიღწევის გზებს და ეხმარება სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას .

სკოლის დირექტორმა, დირექტორის მოადგილემ ხარისხსის მართვის დარგში , სასწავლო პროცესის კოორდინატორმა , კათედრის წარმომადგენლებმა SWOT ანალიზის მეთოდით გამოვლენილ სკოლის საჭიროებებზე დაყრდნობით განსაზღვრა სკოლის სტრატეგია და შეიმუშავა 7 წლიანი სამოქმედო გეგმა.

ა) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ბ) საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“;

გ) ეროვნული სასწავლო გეგმა;

დ) სკოლის წესდება.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის სასკოლო საზოგადოების გაცნობის მიზნით სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფმა ჩაატარა შეხვედრები კათედრის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციის წევრებთან, მოეწყო მშობელთა კრებები და სტრატეგიულ გეგმაში შესაბამისად გათვალისწინებული იქნა მათი უკუკავშირი.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა იგივე სკოლის სამოქმედო პროგრამა წარმოადგენს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი მოქმედებების გეგმას, რომელიც სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სკოლის საქმიანობა ეფუძნება საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს, რომელსაც საკუთარი დაწესებულების საქმიანობის ძირითად ფუნდამენტად მიიჩნევს.

სკოლას მიაჩნია, რომ დაწესებულების თანმიმდევრული განვითარებისათვის აუცილებელია **სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის** სტრატეგიის ფორმულირება, რომელშიც გაცხადებული იქნება სკოლის მიდგომა და ხედვა, რომელსაც ირჩევს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

წინამდებარე სტარატეგია შექმნილია იმისათვის, რომ სკოლამ შეძლოს მის მიერ დასახული მიზნის გამჭვირვალედ და ჯეროვნად განხორციელება. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები.

სკოლის წარმატება და განვითარება მნიშვნელოვანწილად მასწავლებლის პროფესიულ ოსტატობას ეფუძნება. მათი მაღალი პროფესიონალიზმი, დიდი პასუხისმგებლობა, ძალისხმევა და ენთუზიაზმი ესაჭიროებათ იმისთვის, რომ უპასუხონ თანამედროვე მოთხოვნებს. მუდმივი სწრაფვა განვითარებისაკენ, ცოდნის გაღრმავება, თანამედროვე, მუდმივად განვითარებადი ტექნოლოგიებისადმი პროფესიონალური დამოკიდებულება, საკუთარი გამოცდილებისა და უნარების მობილიზება არის საკვანძო საკითხები სკოლის მიერ წარმატების მისაღწევად.

სკოლა დარწმუნებულია, რომ მისი სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და ობიექტური ანალიზით. შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად და მის მოდიფიცირებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის ყველა დაინტერესებულმა პირმა.

თავი I

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის
მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია

სკოლა უზრუნველყოფს ჯანსაღად, კრეატიულად და გლობალურად მოაზროვნე, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი,ქვეყნის მოყვარული, აქტიური მოქალაქის აღზრდისა და სწავლებისთვის შესაბამის გარემოს და მაღალ ხარისხს.

ხედვა

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ხედვაა:

2028 წლისთვის მოხდება მოსწავლეთა უმრავლესობის (80%) ჩართვა სასკოლო, ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებსა და პროქტებში;

მდგრადი განვითარების მიზნების პროექტების სახით პრაქტიკულად განხორციელებით ხელს შევუწყობთ თითოეული მოსწავლის პიროვნების ,მისი ნიჭის, **კრეატიულობის,** გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარებას , მათ ზნეობრივად აღზრდას და სულიერად დახვეწას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეების **აქტიურ, დემოკრატიულ, ქვეყნის მოყვარული და გლობალურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.**

ღირებულებები:

ჩვენ გვჯერა , რომ:

სკოლა „ანაბასისი“ საზოგადოებისათვის სასარგებლო სკოლაა, სადაც ყველას სურს და შეუძლია სწავლა, ყველას აქვს შესაბამისი პოტენციალი.

ჩვენს სკოლაში ყველას შეუძლია საკუთარი და სხვათა ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა.

ჩვენთვის ფასეულია:

პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება- მოსწავლეთა თვითმმართველობების დამოუკიდებელი საქმიანობა და სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა;

დემოკრატია და მონაწილეობა -თვითმმართველობის არჩევნების გზით დაკომპლექტება და სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა;

სკოლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საკითხების დემოკრატიულად გადაწყვეტა და ყველას ჩართულობის ხელშეწყობა;

თანადგომა და თანასწორობა- სოციალური, საქველმოქმედო პროექტების ორგანიზება და ემპათიის და თანასწორობის უნარ-ჩვევების გამომუშავება .

ღიაობა და თანამშრომლობა- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა .

თავი II

სტრატეგიული ჩარჩო

სტრატეგიული მიზანი N 1: უზრუნველყოფილია სკოლის ორგანიზაციული განვითარება		პასუხისმგებელი პირი/პირები	განხორციელების პერიოდი
ამოცანა N1	სკოლას აქვს საკუთარი ადგილი, მაღალი ცნობადობა და დადებითი იმიჯი საგანმანათლებლო სივრცესა დასაზოგადოებაში	დირექცია, ადმინისტრაცია, სასკოლო საზოგადოება	2023-2030 წწ
ამოცანა N2	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სკოლის ხედვისა და მისიის შესაბამისად და ორიენტირებულია სკოლის განვითარებასადა ეფექტურ მუშაობაზე	ადმინისტრაცია, სასკოლო საზოგადოება	2023-2030 წწ
ამოცანა N3	სკოლის ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას	დირექცია	2023-2030 წწ
ამოცანა N4	უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო	დირექცია, ადმინისტრაცია, სასკოლო საზოგადოება	2023-2030 წწ

სტრატეგიული მიზანი N 2: უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება		პასუხისმგებელი პირი/პირები	განხორციელების პერიოდი
ამოცანა N1	კურიკულუმი შემუშავებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და დაფუძნებულია ეროვნული სასწავლოგეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებზე.	დირექცია, კათედრები	2023 – 2025წწ
ამოცანა N2	კურიკულუმი ეფუძნება სწავლა- სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, მოსწავლეზე	დირექცია, კათედრები, ხარისხის მართვა	2023 – 2025წწ

	ზრუნვასა და მხარდაჭერას		
ამოცანა N3	კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას და ატარებს ჰოლისტურ ხასიათს	დირექცია, კათედრები, ხარისხის მართვა	2023-2030წწ

სტრატეგიული მიზანი N 3: უზრუნველყოფილია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება		პასუხისმგებელი პირი/პირები	განხორციელების პერიოდი
ამოცანა N1	შემუშავებულია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმი	დირექცია, ხარისხის მართვა	2023 წ
ამოცანა N2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად	დირექცია, ხარისხის მართვა	2023-2030 წწ
ამოცანა N3	სკოლა ზრუნავს პერსონალის კარიერულ ზრდაზე		2023-2030 წწ

სტრატეგიული მიზანი N 4: უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა		პასუხისმგებელი პირი/პირები	განხორციელების პერიოდი
ამოცანა N1	სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით	ადმინისტრაცია, პარტნიორთა კრება	2023-2030 წწ
ამოცანა N2	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს და და ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას	ადმინისტრაცია	2023-2030 წწ

სტრატეგიული მიზანი N 5: უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხარდაჭერა		პასუხისმგებელი პირი/პირები	განხორციელების პერიოდი
ამოცანა N1	სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა	დირექცია, ხარისხის მართვა	2023-2030 წწ
ამოცანა N2	უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომლობა	დირექცია, ხარისხის მართვა,კათედრები	2023-2030წწ
ამოცანა N3	უზრუნველყოფილია მოსწავლეთა პროფესიული განვითარება	კათედრები, ხარისხის მართვა	2023-2030წწ

ამოცანა N4	სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და ეფუძნება განვითარების მხარდჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.	პარტნიორთა კრება, ხარისხის მართვა	2023-2030 წწ

თავი III

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

სკოლის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხდება ორჯერ - შუალედური და შემაჯამებელი შეფასება. შეფასებას ახორციელებს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების ჯგუფი. შუალედური ტარდება სტარტეგიული გეგმის განხორციელების დაწყებიდან მესამე სასწავლო წლის ბოლოს, ხოლო შემაჯამებელი შეფასება, შვიდი წლის გასვლის შემდეგ, ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. გეგმის სრულყოფის მიზნით ყოველი წლის დასაწყისში პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით იქმნება წლიური სამოქმედო გეგმა. წლიური სამოქმედო გეგმისა და შუალედური და შემაჯამებელი შეფასების ანგარიში საჯაროა და განთავსდება სკოლის ვებ. გვერდზე.